

ფე), ლ. ბენდელიანი (იოკასტა), ჯ. გუგავა (კრეონი) და სხვ.

ამ დადგმით ლენტეხის კულტურის სახლის ახალგაზრდა დრამატულმა კოლექტივმა კარგი მხატვრული გემოვნება გამოავლინა.

თვითმოქმადი მხატვართა გამოფენა

დღეშეთში კულტურის სარაიონო სახლში გაიხსნა თვითმოქმედ მხატვართა გამოფენა, სადაც სამოცდაათზე მეტი ექსპონატი იყო წარმოდგენილი.

გამოფენა მოეწყო საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ინიციატივით.

თვითმოქმედი მხატვრების ნამუშევრების უმეტესობა პეიზაჟებია. მნახველთა ყურადღებას იპყრობდა ი. კანიაგინის

„პეიზაჟი“, რომელიც თვალწინ გადაგიშლით ჯგერის მონასტრის დიდებულ სანახაობას, აგრეთვე მ. ისაკაძის მხატვრული ტილოები „საჩიბია“, „მინდა ციხე“, „მეცხვარეები“.

მოწონებას იმსახურებდა ჯ. ხუცაშვილის „დღეობა“ და „ეტრუდი“, საინტერესო იყო მისივე ჩანახატები — „გამხიარული ბუხარო“ და „ძველი სოფლის სურათები“.

ოსტატურად იყო შესრულებული ე. კობაძის „იმერეთის პეიზაჟი“ (ფანჯარი), დ. ნავროზაშვილის „პეიზაჟი“, „სიმინდის რჩევა“, თ. ჩიტაღაძის „რემიოთახი“, ა. ჩხატრიშვილის „ქალის პორტრეტი“ და სხვ.

გამოფენას ბევრი დამთვალიერებელი აკყვავდა.

თეატრალური კოლონეთი

მრავალწლოვანი პოლონეთის თეატრალური ცხოვრება. თანამედროვეობის ანტერეზებისაყენ მისწრაფება აერთიანებს შემოქმედებითი სტილით ისეთ განსხვავებულ რეჟისორებს, როგორცაა ბ. კოჟენიეჟი, ე. ასკერი, კ. დევიში, კ. ხელშანა. ლ. რენე.

უჩრნალ „ტეატრის“ კორეპონდენტი დღევანდელი პოლონეთის თეატრალური ცხოვრებაზე მოგვითხრობს. „არაღე იცინიან პოლონელები?“ ამგვარი კითხვას გვთავაზობს მიმომხილველი და აღნიშნავს: ახლა, როცა პოლონელები ძველ დროს იხსენებენ, იცინიან. ამგვარი სიცილია იმ მრავალ კომედიებში, რომლებიც წარსულს ეხება. და სხვათაშორის, მათი კომედიები მხოლოდ წარსულზე როდი მოგვითხრობენ... ძალზე ხასიათილა კრავოვის ძველისძველი თეატრის სექტაკალი „პროგრესის მომტრე“, რეჟისორი ლიდენი ზამკოვის დადგმით. ეს სექტაკალი აერთიანებს პოლონეთის პოპულარული ხატორიკოსის სლავომირ ბროუციის სამ ერთმოქმედებიან პიესას. აი. ერთერთი: პიესა — „მეფე“: შვილიშვილმა მოხუცი პაპა ექიმთან წაიყვანა. პაპა ახლომხედველია და ხათვალე ჰქრდებდა. რისთვის? იმისათვის, რომ ისროლოს და აი, ჩვენს წინაშეა კომედიური სიტუაცია და ნახევრად ჰკუაშეშლილი, ნახევრად ბეცი ბებრის სახე, რომელსაც რადაც არ უნდა დაუჯდეს სურს რომ ისროლოს. და პატრულაც იხვრის, ჰკლავს... აქვეა ორი ტიპი, რომელნიც განუპრეზლად უკავშირდებიან მსროლელი ბებრის სახეს.

სექტაკალ „ინდაურში“ (ვარშავის დრამატულ თეატრში) მოქმედება მიმდინარეობს „ჩვეუანაში, ხადაც არავის არაფერი ხურს“. აქაა პოეტი-სექსტიკოსი, რომლის სტიქიაც ურწმუნოა. აქვეა გლეხების კოლორიტული სახეები, რომლებიც აგრეთვე ყველაფერს ექვს თვალთა უცქერიან. სექტაკალი მიზანში ურტყამს: სამი გლეხი თვითთულ რეპლიკას, რომელიც სექსტიციონითაა აღხავსე, დარბაზი ხარხარიო ხედება.

ძალზე პოპულარულია პოლონურ თეატრში ბრეხტი. სხვადასხვა დროს აქ იდგმებოდა „ჟავახიური ცარცის წრე“, „სამგროშინა ოპერა“, „გალილიის ცხოვრება“ და სხვ. ახლანან ეროვნულმა თეატრმა წარმოადგინა „დღეა კურაში“. ამ სექტაკლის იდეური კონცეპცია ვარშავის ეროვნულ თეატრში ასე გამოიხატა: ომი პრისხანე ძალაა და ომის ძალაზე გამარჯვება შეიძლება მხოლოდ ერთიანი სახალხო ბრძოლით.

ის თეატრი კი, რომელიც სრულიად ახალგაზრდა ქალაქ ვუტაში აღმოცენდა, ამ ქალაქივით ახალგაზრდაა. იგი იზრდება ლენინის სახელობის გიგანტურ მეტალურგიულ კომბინატთან ერთად. ნოვატორი რეჟისორები: კ. ხელშანა და ე. კრახოვსკი